სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო

ვაჟა-ფშაველას გამზ. 76ბ
0186 თბილისი, საქართველო
+995 32 230 51 65
info@youthagency.gov.ge

23 / თებერვალი / 2026 წ.

KARR1766916599726

№ 01/140

რუსთავის მუნიციპალიტეტის მერს,
ქალბატონ ნინო ლაცაბიძეს
გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ დავით კარგარეთელს
ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ზამურ ჭითანავას
მარნეულის მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ დაური ისმაილოვს
დმანისის მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ კობა მურადაშვილს
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ მიხეილ აფციაურს
წალკის მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ ილია საბაძეს

მოგესალმებით,

გაცნობებთ, რომ სსიპ ახალგაზრდობის სააგენტომ, პროგრამის „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“ ქვეპროგრამის – „მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების გაძლიერება“ ფარგლებში დაიწყო პროექტი **„ახალგაზრდული საქმიანობის დელეგატი“**. პროექტი ემსახურება „სახელმწიფო ახალგაზრდული სტრატეგია 2023–2026“-ით განსაზღვრული მიზნების განხორციელებას და ახალგაზრდული პოლიტიკის გაძლიერებას ადგილობრივ დონეზე.

პროექტის მიზანია ადგილობრივ თემებში ახალგაზრდული სფეროს გაძლიერება, ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობის ზრდა და მათთვის ახალგაზრდული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

ახალგაზრდული საქმიანობის დელეგატის როლი გულისხმობს ახალგაზრდობის სააგენტოს და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ გამოცხადებული პროგრამებისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას ძირითადად სოციალური პლატფორმების მეშვეობით. დელეგატები უზრუნველყოფენ სააგენტოს და მუნიციპალიტეტის აქტივობების, კონკურსებისა და ინიციატივების შესახებ კომუნიკაციას ონლაინ არხებში, რათა ინფორმაცია სწრაფად და ეფექტიანად მიეწოდოს ადგილობრივ ახალგაზრდებს. ამასთან, დელეგატი აქტიურად თანამშრომლობს ახალგაზრდებთან, ადგილობრივ თვითმმართველობასთან და აორგანიზებს საინფორმაციო შეხვედრებსა და მცირე მასშტაბის აქტივობებს

პროექტის ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით, ღია კონკურსის წესით, თითოეული მუნიციპალიტეტიდან შეირჩევა ერთი ახალგაზრდული საქმიანობის დელეგატი, ჯამში 64 ახალგაზრდა (16-დან 29 წლამდე). დელეგატების შერჩევა ორეტაპიანი პროცესის საფუძველზე განხორციელდება. პირველ ეტაპზე მოხდება მიღებული განაცხადების ტექნიკური გადარჩევა, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, ხოლო მეორე ეტაპზე კანდიდატებთან ჩატარდება გასაუბრება მათი მოტივაციის, გამოცდილებისა და საჭირო უნარების შეფასების მიზნით. შერჩეული კანდიდატები გაივლიან სპეციალურ გადამზადებას თბილისში და ამის შემდეგ შეუდგებიან დელეგატის საქმიანობას მუნიციპალიტეტში.

პროექტის ფარგლებში ახალგაზრდობის სააგენტო დელეგატებს სთავაზობს სპეციალურ გადამზადებას ლიდერული და ციფრული უნარების გასაძლიერებლად, ტექნიკურ მხარდაჭერას პროექტის განხორციელების პროცესში და სააგენტოს პროგრამებსა და ღონისძიებებში აქტიური ჩართულობის შესაძლებლობას. წლის ბოლოს განხორციელებული საქმიანობის შეფასების საფუძველზე შეირჩევა ხუთი საუკეთესო დელეგატი, რომელთათვისაც ორგანიზებული იქნება საერთაშორისო სასწავლო ვიზიტი ცოდნისა და გამოცდილების გასაღრმავებლად.

გაცნობებთ, რომ განაცხადების მიღება დაიწყო **20 თებერვალს და დასრულდება 3 მარტს**. გთხოვთ, ხელი შეუწყოთ ინფორმაციის გავრცელებას მუნიციპალიტეტის მასშტაბით. თქვენი აქტიური ჩართულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რათა თითოეულ დაინტერესებულ ახალგაზრდას მიეცეს პროექტში მონაწილეობის შესაძლებლობა.

წერილს თან ერთვის ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ სოციალურ მედიაში გამოქვეყნებული პოსტების ბმულები.

[განაცხადის ელექტრონული ფორმა]
[Facebook პოსტის ბმული]
[Facebook პოსტის (ვიდეო) ბმული]
[Instagram პოსტის ბმული]
[Instagram პოსტის (ვიდეო) ბმული]

პატივისცემით,

სააგენტოს ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი	ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად	ვახტანგ ბააკაშვილი